



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და  
ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

04/01/2017

N 5/ო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში  
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის  
პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 61-ე მუხლებისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად (შემდგომში - საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი) განისაზღვროს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, დავით მეტრეველი.

2. სამინისტროს საჯარო მოსამსახურეები, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნისთანავე, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ მიაწოდონ მას შესაბამისი დოკუმენტაცია/ინფორმაცია.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2014 წლის 10 ნოემბრის №140/ო ბრძანება.

4. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ბრძანება გააცნოს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეებს.

5. დაევალოს სამინისტროს აპარატს (დეპარტამენტი) ბრძანებით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია განათავსოს სამინისტროს ვებგვერდზე.

6. დაევალოს სამინისტროს აპარატს (დეპარტამენტი) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მიწოდებული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.

7. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი მატკავა

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

